სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდრით 17 აგვისტოს დანიშნული იყო ორი შეხვედრა. მოსკოვისა და თბილისის დინამოელებმა ეს მატჩი ჩაატარეს (ეს იყო XX ტურის კალენდარული მატჩი). ხოლო ვილნიუსის „ჟალგირისისა“ და დონეცკის „შახტიორის“ შეხვედრა გადაიდო.

„დინამო“ (მოსკოვი) – „დინამო“ (თბილისი) 0:0

მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონი. 17 აგვისტო.

მოსკოვი: უვაროვი, ლოსევი, სკლიაროვი (დოლგოპოლოვი, 46), ბულანოვი, სილკინი, პოზდნიაკოვი (ტიმოშენკო, 65), კოლივანოვი, კარატაევი, ერიომენკო, დობროვოლსკი, ბოროდიუკი.

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ცვეიბა, ჭედია, არზიანი, რევიშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა (აფციაური, 77), ფანცულაია, გოგიჩაიშვილი (ქეცბაია, 89).

დუბლიორები - 1:0.

მოსკოვისა და თბილისის დინამოელები საკავშირო ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში მეზობლად იმყოფებიან. მაგრამ ეს მეზობლობა ცხრილის სათავეში კი არ ხდება, როგორც უწინ იყო, არამედ აუტსაიდერთა ჯგუფში, სადაც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზეა ლაპარაკი. შეიძლება სწორედ ამან განაპირობა ის, რომ განვლილ მატჩში ორივე გუნდი ბევრს ცდილობდა, აქტიურობდა, მაგრამ ამავე დროს ფრთხილობდა კიდეც. როგორც კი დაცვითი რგოლების რომელიმე მოთამაშე შეტევაში ჩაერთვებოდა, მის ადგილს მაშინვე იკავებდნენ პარტნიორები. თავდამსხმელთა და მცველთა ასეთი მონაცვლეობა საფეხბურთო ტაქტიკისთვის უცხო რამ არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში ნათლად ჩანდა, რომ მოულოდნელი უსიამოვნებისგან თავს იცავდნენ მოსკოველებიც და თბილისელებიც. თამაშის ტემპი მაღალი არ იყო. კარგა ხანს მცირეოდენ ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, ამ პერიოდში გაბელიამ ძნელი ბურთები აიღო ბოროდიუკისა და კარატაევისგან, მაგრამ საპასუხო სახიფათო მომენტები შექმნეს მათ კართან რევიშვილმა, კეტაშვილმა გოგიჩაიშვილმა.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა შესამჩნევად მოუმატეს ტემპს. იერიშში მეტი ფეხბურთელი მონაწილეობდა და საერთოდ, თამაშის სადავეებიც მათ ჩაიგდეს ხელთ. ბურთი უმეტესად თბილისელებს ჰქონდათ, კარშიც ისინი უფრო მეტს ურტყამდნენ, ვიდრე მოსკოველები.

ჩვენი გუნდის ეს ტერიტორიული უპირატესობა დაახლოების 15-20 წუთს გაგრძელდა. მოსკოვის „დინამომ“ ასეთ ვითარებაში მოუმატა იშვიათ, ცალკეულ კონტრიერიშებს, რომლებიც ძირითადად ბოროდიუკის მეშვეობით ხორციელდებოდა.

შესაძლოა სხვა დროს სხვა ვითარებაში, თანაკლუბელთა ეს შეხვედრა ძალზე საინტერესო ბრძოლაში გადაზრდილიყო, მაგრამ ქულის აღების პრაქტიციზმმა კვლავ

თავი იჩინა და ეს სავებით ბუნებრივია. ამიტომაც მასპინძლებმაც და სტუმრებმაც მატჩის დასასრულს უპირატესად შუა მინდორზე თამაში არჩიეს.

ახლა იმის შესახებ, თუ რა შედეგები აქვს თბილისის „დინამოს“ მიმდინარე ჩემპიონატის მეორე წრეში და რა პერსპექტივებით ვხვდებით გათამაშების დასასრულს?

პირველი წრის ფინიშზე თბილისის „დინამოს“ მდგომარეობა კატასტროფული იყო. ჩვენმა საფეხბურთო საზოგადოებრიობამ, უპირველეს ყოვლისა უპირველეს ყოვლისა, თვით „დინამოს“ მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა რადიკალურ ზომებს მიმართონ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მეორე წრის სტარტზე მე-16 ტურში თბილისის „დინამომ“ საკუთარ მინდორზე დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი“, შემდეგ აქვე მოუგო ოდესის „ჩერნომორეცს“ და, თუმცა, დონეცკში ფრიად მნიშვნელოვანი მატჩი წააგო „შახტიორთნ“, შემდეგ თითო ქულა აიღო დნეპროპეტროვსკში და მოსკოვში „დინამოსთან“. მართალია, მდგომარეობა მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორდა, ბოლო ადგილზე მყოფ „კაირატს“ 5 ქულით ვუსწრებთ და „ნეფთჩის“ 3 ქულით, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის პროგრესული ცვლილებები, რაც თბილისის „დინამოს“ თამაშში მოხდა. აშკარად ჩანს ის ენერგია და მონდომება, რასაც ფეხბურთელები იჩენენ თამაშის დროს. ამოძრავდნენ და გააქტიურდნენ ცალკეული რგოლები, ადრინდელზე გაცილებით უკეთ გამოიყურებიან (ეს ფიზიკურ მომზადებაზეც ითქმის) ცალკეული მოთამაშეებიც. ერთი სიტყვით, წინსვლა საკმაოდ საგრძნობია.

24 აგვისტოს თბილისის „დინამო“ თავის მინდორზე 21-ე ტურის მატჩში ხვდება ბაქოს „ნეფთჩის“. წარმატების შემთხვევაში ძალზე საიმედო გარანტია მოგვეცემა უახლოესი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

„ლელოს“ ფეხბურთის განყოფილება.
ლელო 20.08.1988